თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1844733

ნომერი: AR1300321

თარიღი : 07.04.2015

გაცემის თარიღი : 17.04.2015

გაცნობის თარიღი : 18.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე სოლომონ II-ის ქუჩა N27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა მარღიაშვილი პ/ნ 01015007303
- თბილისი კრწანისის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1300321 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა N27 (საკ. კოდი 01.18.06.006.112) მშენებლობას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 24 მარტს # AR1295845 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე თენგიზ ესიავამ და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებთ გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, შესაბამისად სამსახურის მიერ 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge